სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 219

2022 წლის 8 დეკემბერი

ქ. თბილისი

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის N226/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, „2022 წლის სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივი საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 1 ნოემბრის N200 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N1571701 08.12.2022) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამკიცდეს სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის ერთობლივ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტი:

.№	პროექტის შიფრი	პროექტის სახელწოდება	საქართველოდან გამგზავნი უნივერსიტეტი
1	**JFZ-II-22-109**	შიშის მეხსიერების პტსა-სპეციფიკური ინჰიბიტორული ქსელების შესწავლა	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2	**JFZ-II-22-074**	პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის(პეტ) ახალი საკვლევი ნივთიერებების პრეკლინიკური შეფასება კიბოს დიაგნოსტირებისა და თერაპიისთვის	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

3	**JFZ-II-22-039**	სურათიდან მიღებული შეყვანის ფუნქცია MR-BrainPET ჩანართის კვლევებისთვის	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
4	**JFZ-II-22-035**	მოძრაობის კორექცია თავის ტვინის მაღალი სიზუსტის რაოდენობრივი გამოსახულებითი კვლევისთვის	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2. გამარჯვებული პროექტის ავტორმა არაუგვიანეს 2022 წლის 13 დეკემბრის 18:00 საათისა სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის კანცელარიაში (შემდგომში - ფონდი) უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

   ა) მოწვევის წერილის ორიგინალი;
   ბ) საგრანტო პროექტი და ცენტრში განსახორციელებელი სამეცნიერო კვლევის გეგმის ორიგინალი;
   გ) მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები – ამ პროექტისათვის გახსნილი მიზნობრივი საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც ჩაირიცხება გრანტის თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი.

3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს გამარჯვებული პროექტის ავტორთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2022 წლის 31 დეკემბრისა.
4. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია მხარეებისათვის გაცნობისთანავე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ეკატერინე ბუთლიაშვილი
ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის უფროსი